

**დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო
ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ მრავალმხრივი
კონვენციისა და საქართველოს და ბელგიის სამეფოს შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე
ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების
სინთეზირებული ტექსტი**

ზოგადი განმარტება სინთეზირებული ტექსტის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სინთეზირებულ ტექსტს საქართველოს და ბელგიის სამეფოს შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ 2000 წლის 14 დეკემბერს ხელმოწერილი შეთანხმების (შემდგომში - „შეთანხმება“) გამოყენების მიზნით, საქართველოსა და ბელგიის სამეფოს მიერ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით 2017 წლის 7 ივნისს ხელმოწერილ საგადასახადო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ მრავალმხრივი კონვენციის (შემდგომში - „მრავალმხრივი კონვენცია“) საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულ იქნა 2019 წლის 29 მარტს მრავალმხრივი კონვენციის რატიფიცირების შესახებ დოკუმენტის დეპონირებისას საქართველოს მიერ წარდგენილი პოზიციისა და 2019 წლის 27 ივნისს მრავალმხრივი კონვენციის მიღების შესახებ დოკუმენტის დეპონირებისას, ბელგიის სამეფოს მიერ წარდგენილი პოზიციის საფუძველზე. მრავალმხრივი კონვენციის აღნიშნული პოზიციები ექვემდებარება ცვლილებებს მრავალმხრივი კონვენციის შესაბამისად. მრავალმხრივი კონვენციის პოზიციების ცვლილებებმა, შესაძლოა გამოიწვიოს მრავალმხრივი კონვენციის მოქმედების ცვლილება შეთანხმებასთან მიმართებით.

შეთანხმებისა და მრავალმხრივი კონვენციის ავთენტურ სამართლებრივ ტექსტებს გააჩნია უპირატესი ძალა და ინარჩუნებს მოქმედი სამართლებრივი ტექსტების სტატუსს.

წინამდებარე დოკუმენტში მრავალმხრივი კონვენციის დებულებები, რომლებიც მოქმედებს შეთანხმების დებულებათა მიმართ, ასახულია გრაფებში შეთანხმების შესაბამისი დებულებების კონტექსტიდან გამომდინარე. გრაფები, რომლებიც ასახავს მრავალმხრივი კონვენციის დებულებებს, როგორც წესი, განლაგებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 2017 წლის სამოდელო საგადასახადო კონვენციის დებულებათა თანმიმდევრობის შესაბამისად.

მრავალმხრივი კონვენციის დებულებების ტექსტში ცვლილებები განხორციელდა იმისთვის, რომ მრავალმხრივ კონვენციაში გამოყენებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში იყოს შეთანხმების ტერმინოლოგიასთან, (როგორიცაა „გავრცელების სფეროში შემავალი შეთანხმება“ და „შეთანხმება“, „ხელშემკვრელი იურისდიქცია“ და „ხელშემკვრელი სახელმწიფო“) მრავალმხრივი კონვენციის დებულებების გაგების გამარტივების მიზნით. ტერმინოლოგიაში განხორციელებული ცვლილებების მიზანია დოკუმენტის სიცხადის გაზრდა და ის არ გულისხმობს მრავალმხრივი კონვენციის დებულებების შინაარსის ცვლილებას. ანალოგიურად, ცვლილებები განხორციელდა მრავალმხრივი კონვენციის დებულებების იმ ნაწილებში, რომლებიც აღწერს შეთანხმების არსებულ დებულებებს: მეტი სიცხადისთვის, აღწერილობითი ტექსტი ჩანაცვლდა არსებულ დებულებებზე სამართლებრივი მითითებებით.

ყველა შემთხვევაში, მითითებები შეთანხმების დებულებებზე ან შეთანხმებაზე გაგებულ უნდა იქნას ისე, როგორც მითითებები მრავალმხრივი კონვენციის დებულებების შესაბამისად შეცვლილ

შეთანხმებაზე, იმ პირობით, რომ მრავალმხრივი კონვენციის აღნიშნული დებულებები ამოქმედებულია.

მითითებები

მრავალმხრივი კონვენციისა და შეთანხმების სამართლებრივი ტექსტები იხილეთ ბმულზე:

მრავალმხრივი კონვენცია:

<https://www.oecd.org/tax/treaties/multilateral-convention-to-implement-tax-treaty-related-measures-to-prevent-BEPS.pdf>

საქართველოში:

<https://www.mof.ge/5127>

საქართველოს მიერ 2019 წლის 29 მარტს მრავალმხრივი კონვენციის რატიფიცირების შესახებ დოკუმენტის დეპონირებისას წარდგენილი პოზიცია და ბელგიის სამეფოს მიერ 2019 წლის 27 ივნისს მრავალმხრივი კონვენციის რატიფიცირების შესახებ დოკუმენტის დეპონირებისას წარდგენილი პოზიცია იხილეთ მრავალმხრივი კონვენციის დეპოზიტარის (OECD) ვებ-გვერდზე. (<http://www.oecd.org/tax/treaties/beps-mli-signatories-and-parties.pdf>).

განმარტება მრავალმხრივი კონვენციის დებულებების ამოქმედების თაობაზე

მრავალმხრივი კონვენციის დებულებები, არ ამოქმედდება იმავე თარიღით რომლითაც ამოქმედდა შეთანხმების თავდაპირველი დებულებები. მრავალმხრივი კონვენციის ცალკეული დებულებები შესაძლოა ამოქმედდეს სხვადასხვა დროს, გადასახადის ტიპისა (წყაროსთან დაკავებული გადასახადი ან სხვა დარიცხული გადასახადები) და საქართველოსა და ბელგიის სამეფოს მიერ მრავალმხრივი კონვენციის შესახებ პოზიციებში ასახული არჩევანის გათვალისწინებით.

რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ინსტრუმენტის წარდგენის თარიღები: 2019 წლის 29 მარტი საქართველოსთვის და 2019 წლის 27 ივნისი ბელგიის სამეფოსთვის.

მრავალმხრივი კონვენციის ძალაში შესვლა: 2019 წლის 1 ივლისი საქართველოსთვის და 2019 წლის 1 ოქტომბერი ბელგიის სამეფოსთვის.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარადაა მოცემული წინამდებარე დოკუმენტში, მრავალმხრივი კონვენციის დებულებები ამოქმედდება შეთანხმების დებულებების მიმართ:

- არა-რეზიდენტისთვის გადახდილ ან ჩათვლილ შემოსავალზე წყაროსთან დაკავებული გადასახადების მიმართ, როდესაც ამგვარი გადასახადების გადახდის ვალდებულების გამომწვევი ქმედება განხორციელდა 2020 წლის პირველ იანვარს ან მას შემდეგ;
- ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დარიცხულ ყველა დანარჩენი გადასახადების მიმართ, იმ საგადასახადო პერიოდებში დარიცხულ გადასახადებზე, რომლებიც იწყება 2020 წლის პირველ აპრილს ან მას შემდეგ.

შეთანხმება
საქართველოს და ბელგიის სამეფოს შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი
დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ

საქართველოს და ბელგიის სამეფო,

სურთ რა ხელი შეუწყონ და გააძლიერონ ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო და ტექნიკური ურთიერთობები ორ ქვეყანა შორის

[ჩანაცვლდა მრავალმხრივი კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით] [შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადებით]

მრავალმხრივი კონვენციის მე-6 მუხლის მოცემული პირველი პუნქტი ჩანაცვლებს შეთანხმების პრეამბულის ტექსტს, რომელიც მოიცავს მითითებას ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვის სურვილზე:

მრავალმხრივი კონვენციის მუხლი 6 –
გავრცელების სფეროში შემავალი შეთანხმების მიზანი

სურთ რა, ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა [წინამდებარე შეთანხმების] გავრცელების სფეროში შემავალ გადასახადებზე, გადასახადების გადაუხდელობის ან თავიდან არიდების მეშვეობით (საგადასახადო ხელშეკრულების ბოროტად გამოყენების სქემების ჩათვლით, რომლის მიზანია [წინამდებარე შეთანხმების] გათვალისწინებული შეღავათებით არაპირდაპირი სარგებლობა მე-3 იურისდიქციის რეზიდენტების მიერ) დაუბეგრავის ან გადასახადების შემცირების შესაძლებლობის შექმნის გარეშე,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I
შეთანხმების მოქმედების სფერო

მუხლი 1.
პირები, რომელთა მიმართ გამოიყენება შეთანხმება

მოცემული შეთანხმება გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტებს.

მუხლი 2. გადასახადები, რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება

1. მოცემული შეთანხმება ვრცელდება შემოსავლებსა და კაპიტალზე იმ გადასახადების მიმართ, რომლებიც გადახდილ იქნება თითოეული ხელშემკვრელი მხარის ან მისი პოლიტიკური ქვედანაყოფების ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ, მიუხედავად მათი გადახდის წესისა.
2. შემოსავლებსა და კაპიტალზე გადასახადებად ითვლება ყველა ის გადასახადი, რომელიც გადახდილ იქნება შემოსავლების მთლიანი თანხიდან, კაპიტალის მთლიანი თანხიდან ან მათი ცალკეული ნაწილებიდან, უძრავი ან მოძრავი ქონების გასხვისებით მიღებულ შემოსავლებზე გადასახადების, აგრეთვე საწარმოების მიერ გადახდილი ხელფასების მთლიანი თანხისა კაპიტალის შეფასების გადასახადების ჩათვლით.
3. არსებული გადასახადები, რომლებზეც ვრცელდება ეს შეთანხმება:
 - a) საქართველოს შემთხვევაში:
 - (I) საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადი;
 - (II) ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი;
 - (III) საწარმოთა ქონების გადასახადი;
 - (IV) ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი;(რომლებიც აქ და შემდგომ იწოდებიან, როგორც „საქართველოს გადასახადები“).
 - ბ) ბელგიის სამეფოს შემთხვევაში:
 - (I) ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი;
 - (II) საწარმოთა საშემოსავლო გადასახადი;
 - (III) იურიდიულ ერთეულებზე დაწესებული საშემოსავლო გადასახადი;
 - (IV) საშემოსავლო გადასახადი არარეზიდენტებზე;
 - (V) კრიზისის შემთხვევაში დამატებითი შენატანი, ავანსირების, მოცემულ გადასახადებზე და ავანსებზე დამატებითი ანაკრეფის და ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადებზე დანამატების ჩათვლით(რომლებიც აქ და შემდგომ იწოდებიან როგორც „ბელგიის გადასახადები“).
4. შეთანხმება გამოიყენება, აგრეთვე, ყველა იდენტური ან არსებითად ანალოგიური გადასახადების მიმართ, რომლებიც ამ კონვენციაზე ხელის მოწერის თარიღის შემდეგ გადახდილი იქნება არსებულ გადასახადებზე დამატებით ან მათ ნაცვლად. ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ყოველი წლის ბოლოს აცნობებენ ერთმანეთს მათ შესაბამის საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი პრინციპული ცვლილებების შესახებ.

თავი II განსაზღვრებანი

მუხლი 3. ზოგადი განსაზღვრებანი

1. მოცემულ შეთანხმებაში, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:

ა) ტერმინი „საქართველო“ გეოგრაფიული მნიშვნელობით გამოყენებისას ნიშნავს საქართველოს ტერიტორიას, მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ სივრცეს მის საზღვრებში, მათ შორის სახმელეთო სივრცეს, შიდა წყლებს და ტერიტორიულ ზღვარს, მათ წიაღს და საჰაერო სივრცეს მათ ზემოთ, ასევე მის ტერიტორიულ ზღვასთან მიმდებარე განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას და კონტინენტურ შელფს, რომელთა მიმართაც საქართველოს შეუძლია განახორციელოს თავისი სუვერენული უფლებები საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

ბ) ტერმინი „ბელგია“ ნიშნავს ბელგიის სამეფოს, რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით ნიშნავს ბელგიის სამეფოს ტერიტორიას, ტერიტორიული წყლებისა და ზღვისა და საჰაერო სივრცის იმ ნაწილს, რომელზეც ბელგია, თავისი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ახორციელებს სუვერენულ უფლებებსა და იურისდიქციას;

გ) ტერმინი „ერთი ხელშემკვრელი მხარე“ და „მეორე ხელშემკვრელი მხარე“, ნიშნავს საქართველოსა და ბელგიას გამომდინარე კონტექსტიდან;

დ) ტერმინი „პირი“ ნიშნავს ფიზიკურ პირს, იურიდიულ პირს და პირთა ნებისმიერ სხვა გაერთიანებას;

ე) ტერმინი „კომპანია“ ნიშნავს ნებისმიერ კორპორაციას ან ერთეულს, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის ითვლება კორპორაციად იმ ხელშემკვრელ ქვეყანაში, რომლის რეზიდენტიც ის არის;

ვ) ტერმინი „ერთი ხელშემკვრელი მხარის საწარმო“ და „მეორე ხელშემკვრელი მხარის საწარმო“ შესაბამისად ნიშნავს საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება ერთი ხელშემკვრელი მხარის რეზიდენტის მიერ და საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება მეორე ხელშემკვრელი მხარის რეზიდენტის მიერ;

ზ) ტერმინი „საერთაშორისო გადაზიდვა“ ნიშნავს ნებისმიერ გადაზიდვას საზღვაო და საჰაერო ხომალდებით, საგზაო ტრანსპორტით, რომელთა ექსპლუატაცია ხდება იმ საწარმოს მიერ რომლის ფაქტიური მართვის ადგილი მდებარეობს ერთ-ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია ხდება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განლაგებულ პუნქტებს შორის;

თ) ტერმინი „საწარმოს ფაქტიური მართვის ადგილი“ ნიშნავს ადგილს, სადაც ხდება ზემოაღნიშნული საწარმოების საქმეთა და ინტერესების მართვა;

ი) ტერმინი „კომპეტენტური ხელისუფლება“ ნიშნავს:

1. საქართველოს შემთხვევაში ფინანსთა მინისტრს ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილ წარმომადგენელს.
2. ბელგიის შემთხვევაში ფინანსთა მინისტრს ან მის მიერ უფლებამოსილ წარმომადგენელს.

კ) ტერმინი „პირი“, ნიშნავს:

1. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე ნებისმიერ ინდივიდუმს;
2. ნებისმიერ იურიდიულ პირს, პარტნიორობას და ასოციაციას, რომლებიც თავიანთი სტატუსი მოიპოვეს ერთ-ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშემკვრელი მხარის მიერ შეთანხმების გამოყენებისას ნებისმიერ ტერმინს, რომელიც არ არის მასში განსაზღვრული, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ექნება ის მნიშვნელობა, რაც მას აქვს გამოყენებისას ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, იმ გადასახადების მიმართ, რომლებსაც ითვალისწინებს შეთანხმება; ამ სახელმწიფოს შესაბამისი საგადასახადო

კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ მნიშვნელობას უპირატესობა ენიება ამ სახელმწიფოს სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მნიშვნელობებთან შედარებით.

მუხლი 4. რეზიდენტი

1. მოცემული შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი „ერთი ხელშემკვრელი მხარის რეზიდენტი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება დაბეგვრას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, მისი ყოფნის ხანგრძლივობის, მართვის ადგილის ან სხვა ნებისმიერი ანალოგიური კრიტერიუმის საფუძველზე. ეს ტერმინი არ მოიცავს პირს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ამ ქვეყანაში მხოლოდ ამ სახელმწიფოში არსებული წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებზე ან კაპიტალზე.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად, ფიზიკური პირი გვევლინება ორივე ხელშემკვრელი მხარის რეზიდენტად, მისი სტატუსი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ის ჩაითვლება იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. თუ მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს ორივე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, ის ჩაითვლება იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას გააჩნია უფრო მჭიდრო პირადი და ეკონომიკური კავშირები (სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი);

ბ) თუ შეუძლებელია იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს დადგენა, სადაც მას გააჩნია სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი ან თუ მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია არც ერთ ამ სახელმწიფოში, ის ჩაითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც ის ჩვეულებრივ ცხოვრობს;

გ) თუ ის ჩვეულებრივ ცხოვრობს ორივე ხელშემკვრელ სახელმწიფოში ან ჩვეულებრივ არ ცხოვრობს არც ერთ მათგანში, ის ჩაითვლება იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტად, რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს;

დ) თუ ის არის ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქე ან არცერთის, მაშინ ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ამ საკითხს გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად პირი, რომელიც არ არის ფიზიკური პირი, წარმოადგენს ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მაშინ იგი ითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, რომელშიც განთავსებულია მისი ფაქტიური მართვის ადგილი.

მუხლი 5. მუდმივი დაწესებულება

1. შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი „მუდმივი დაწესებულება“ ნიშნავს საქმიანობის მუდმივ ადგილს, რომლის მეშვეობითაც მთლიანად ან ნაწილობრივ ხორციელდება საწარმოს საქმიანობა.
2. ტერმინი „მუდმივი დაწესებულება“, კერძოდ, მოიცავს:
 - ა) მართვის ადგილს;
 - ბ) ფილიალს;
 - გ) ოფისს;
 - დ) ფაბრიკას;
 - ე) სახელოსნოს;
 - ვ) მაღაროს, კარიერს ან ბუნებრივი რესურსების მოპოვების სხვა ადგილს.
3. სამშენებლო ადგილი, სამშენებლო ან საინსტალაციო პროექტი, ან საკონტროლო საქმიანობა (საინსპექციო საქმიანობის ჩათვლით) წარმოადგენს მუდმივ დაწესებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა ხორციელდება 9 თვეზე მეტ ხანს.
4. მოცემული შეთანხმების დებულებათა შეუზღუდავად, ტერმინი „მუდმივი დაწესებულება“ არ მოიცავს საქმიანობის შემდეგ სახეებს:
 - ა) მოწყობილობების გამოყენებას საწარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობების მხოლოდ შენახვის, გამოფენის ან მიწოდების მიზნით;
 - ბ) საწარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობების მარაგების შენახვას, მხოლოდ შენახვის, გამოფენის ან მიწოდების მიზნით;
 - გ) საწარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობების მარაგების შენახვას, სხვა საწარმოს მიერ მათი გადამუშავების მიზნით;
 - დ) საქმიანობის მუდმივი ადგილის შენარჩუნებას მხოლოდ საწარმოსათვის საქონლის ან ნაკეთობების შესყიდვის, ან ინფორმაციის შეგროვების მიზნით;
 - ე) საქმიანობის მუდმივი ადგილის შენარჩუნებას მხოლოდ მოსამზადებელი და დამხმარე ხასიათის ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელების მიზნით;
 - ვ) საქმიანობის მუდმივი ადგილის შენარჩუნებას მხოლოდ „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საქმიანობის ნებისმიერი კომბინირების მიზნით, თუ აღნიშნული კომბინირებიდან გამომდინარე ბიზნესის მუდმივი ადგილის მთლიანი საქმიანობა ატარებს მოსამზადებელ ან დამხმარე ხასიათს.
5. 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებათა შეუზღუდავად, პირი , რომელიც მოქმედებს ერთერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს დაწესებულების საბელით მე-6 პუნქტით განსაზღვრული დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტის გარდა განიხილება, როგორც პირველად ხსენებულ სახელმწიფოში არსებული მუდმივი დაწესებულება, თუ ასეთი არსებობს, და ამ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ენიჭება უფლება დადოს ხელშეკრულება საწარმოს სახელით, გარდა მე – 4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როცა ამ პირის საქმიანობა შეზღუდულია საწარმოსათვის საქონლის შეძენით.
6. არ ჩაითვლება, რომ საწარმოს გააჩნია მუდმივი დაწესებულება ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ ამ სახელმწიფოში ის ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას ბროკერის, კომისიონერის ან

ნებისმიერი სხვა დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტის მეშვეობით, იმ პირობით, თუ ეს პირები მოქმედებენ თავიანთი ჩვეული პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

8. ის ფაქტი, რომ კომპანია, რომელიც წარმოადგენს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, აკონტროლებს ან კონტროლდება იმ კომპანიის მიერ, რომელიც მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტია ან რომელიც საქმიანობას ახორციელებს ამ მეორე სახელმწიფოში (მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან სხვა სახით), თავისთავად ერთ-ერთ ამ კომპანიას არ გადააქცევს მეორის მუდმივ დაწესებულებად.

თავი III შემოსავლის დაბეგვრა

მუხლი 6. შემოსავლები უძრავი ქონებიდან

1. ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავლები (სოფლისა და სატყეო მეურნეობიდან შემოსავლების ჩათვლით), მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონებიდან, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ მეორე სახელმწიფოში.
2. ტერმინი უძრავი ქონება განისაზღვრება იმ ხელშემკვერელი მხარის საგადასახადო კანონმდებლობით, რომელშიც მდებარეობს განსახილველი ქონება. ტერმინი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოიცავდეს ქონებას, რომელსაც გააჩნია დამხმარე ხასიათი უძრავი ქონების მიმართ, სოფლისა და სატყეო მეურნეობაში გამოყენებულ საქონელს და მოწყობილობას, უფლებებს, რომელთა მიმართაც იყენებენ მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგადი სამართლის დებულებებს. უძრავი ქონების უზუფრუქტი და უფლებები ცვალებად და ფიქსირებულ გადასახადებზე, რომლებიც გადაიხდება როგორც კომპენსაცია მინერალური წიაღისეულის, წყაროების და სხვა ბუნებრივი წიაღისეულის დამუშავებისათვის ან დამუშავების უფლებისათვის განიხილება როგორც უძრავი ქონება. გემები და საჰაერო ხომალდები არ განიხილება როგორც უძრავი ქონება.
3. 1-ლი პუნქტის დებულებები გამოიყენება აგრეთვე შემოსავლებზე, რომლებიც მიიღება უძრავი ქონების იჯარით გაცემიდან, პირდაპირ ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენებიდან.
4. 1-ლი და მე-3 პუნქტების დებულებები გამოიყენება აგრეთვე, შემოსავლებზე საწარმოს უძრავი ქონებიდან და შემოსავლებზე იმ უძრავი ქონებიდან, რომელიც გამოიყენება დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გასაწევად.

მუხლი 7. ბიზნესიდან მოგება

1. ერთი ხელშემკვრელი მხარის საწარმოს მოგება დაიბეგრება გადასახადით მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ ეს საწარმო არ ახორციელებს ბიზნესს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. თუ საწარმო ამგვარად ახორციელებს საქმიანობას, მაშინ მისი მოგება შეიძლება დაიბეგროს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნება ამ მუდმივ დაწესებულებას.
2. მე-3 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო ახორციელებს ბიზნესს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, მაშინ თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ამ მუდმივ დაწესებულებას მიეკუთვნება მოგება, რომელიც მას შეიძლება მიეღო, რომ ყოფილიყო განკერძოებული საწარმო, იმავე ან ანალოგიური საქმიანობით დაკავებული იმავე ან ანალოგიურ პირობებში და იმოქმედებდა სრულიად დამოუკიდებლად იმ საწარმოსაგან, რომლის მუდმივ დაწესებულებასაც ის წარმოადგენს.
3. მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრისას გამოიქვეითება ის ხარჯები, რომლებიც გაწეულია ასეთი მუდმივი დაწესებულების მიზნებისათვის, მმართველობითი და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით, დამოუკიდებლად იმისა, ეს ხარჯები გაწეულია იმ სახელმწიფოში სადაც იმყოფება მუდმივი დაწესებულება, თუ მის ფარგლებს გარეთ.
4. ა) თუ ერთ-ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში მიღებულია იმ მოგების განსაზღვრა, რომელიც დაერიცხება მუდმივ დაწესებულებას, საწარმოს მთლიანი მოგების სხვადასხვა მხარისათვის პროპორციული განაწილების საფუძველზე, მეორე პუნქტი არ შეზღუდავს ხელშემკვრელ მხარეს იმ მოგების განსაზღვრისას, რომელიც პროპორციული განაწილების საფუძველზე ექვემდებარება გადასახადს. მოგების პროპორციული განაწილების მიღებული მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს მოცემული მუხლის დებულებებს;
ბ) თუ არ არსებობს რეგულარული ანგარიში ან სხვა მტკიცება, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის საწარმოს მოგების რაოდენობა, რომელნიც მიეკუთვნება მის მუდმივ დაწესებულებას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, გადასახადი შეიძლება აკრეფილ იქნას ამ მეორე სახელმწიფოში ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, იგივე სახელმწიფოს იმ მსგავსი საწარმოების ნორმალური მოგების გათვალისწინებით, რომლებიც ახორციელებენ იგივე ან მსგავს საქმიანობას იგივე ან მსგავს პირობებში. მიუხედავად იმისა, თუ ეს მეთოდი გამოიწვევს იგივე მოგებების ორმაგ დაბეგვრას, ორივე სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლება გამართავენ კონსულტაციებს ამგვარი ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად.
5. მუდმივ დაწესებულებას არ დაერიცხება არავითარი მოგება იმ საფუძველზე, რომ მან შეიძინა საქონელი ან ნაკეთობანი საწარმოსათვის.
6. წინამდებარე პუნქტების მიზნებიდან გამომდინარე, მუდმივი დაწესებულების კუთვნილი მოგება ყოველწლიურად განისაზღვრება ერთი და იმავე მეთოდი, თუ რამე დამადერებელი და საკმარისი მიზეზი არ იქნება მის შესაცვლელად.
7. იმ შემთხვევაში, როდესაც მოგება შეიცავს შემოსავლების ისეთ სახეებს, რომლებიც განხილულია ამ კონვენციის სხვა მუხლებში, მაშინ იმ მუხლების დებულებებს ამ მუხლის დებულებები არ შეეხება.

მუხლი 8.

საერთაშორისო გადაზიდვები

1. საერთაშორისო გადაზიდვებში საზღვაო, საჰაერო და საგზაო ტრანსპორტის ექსპლუატაციიდან მიღებული მოგება დაიბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც განთავსებულია საწარმოს ფაქტიური მართვის ადგილი.
2. მოცემული მუხლის მიზნებისათვის საზღვაო, საჰაერო და საგზაო ტრანსპორტის საერთაშორისო ოპერაციებიდან მიღებული მოგება ითვალისწინებს შემდეგს:
 - ა) გემებისა და ხომალდების რეგულარულ გაქირავებიდან შემოსული მოგება და საერთაშორისო ტრანსპორტირებაში გამოყენებული გემებისა და ხომალდების ცალკეულ გაქირავებიდან მიღებული მოგება;
 - ბ) კონტეინერებისა ან საგზაო ტრანსპორტის გაქირავებიდან მიღებული მოგება, თუ ეს მოგება წარმოადგენს დანამატს იმ მოგებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 1-ლი პუნქტის დებულებებით.
3. თუ საზღვაო საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი განთავსებულია გემზე, ის იმ ხელშემკვრელ მხარეში განთავსებულად მიიჩნევა, რომლის პორტსაც მიეკუთვნება აღნიშნული გემი, თუ ასეთი პორტი არ არსებობს, იმ შემთხვევაში იმ ხელშემკვრელ მხარეში, რომლის რეზიდენტია გემის მემანქანე.
4. 1-ლი პუნქტის დებულებები გამოიყენება იმ მოგებების მიმართ, რომელიც მიიღება პულში, ერთობლივ საწარმოში ან საერთაშორისო გადაზიდვების სააგენტოების მუშაობაში მონაწილეობიდან.

მუხლი 9. ასოცირებული საწარმოები

1. იმ შემთხვევაში, როდესაც

ა) ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში,
ან

ბ) ერთი და იგივე პირები პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში, და ორივე შემთხვევაში ამ ორ საწარმოს შორის კომერციულ და ფინანსურ ურთიერთდამოკიდებულებაში იქმნება ან მყარდება პირობები, განსხვავებული იმათგან, რომლებსაც ადგილი ექნებოდათ ორ დამოუკიდებელ საწარმოს შორის ურთიერთობაში. მაშინ ნებისმიერი მოგება, რომელიც შეიძლება რომელიმე მათგანს დარიცხოდა, მაგრამ ამ პირობების არსებობის გამო მას არ დაერიცხა, შეიძლება ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ჩართულ იქნეს ამ საწარმოს მოგებაში და შესაბამისად დაიბეგროს გადასახადით.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო ამ სახელმწიფოს საწარმოს მოგებაში რთავს და შესაბამისად ბეგრავს გადასახადით იმ მოგებას, რომელთან მიმართებაში მეორე ხელშემკვრელი ქვეყნის საწარმო დაექვემდებარება დაბეგვრას ამ მეორე სახელმწიფოში, და ასეთი სახით ჩართული მოგება წარმოადგენს მოგებას, რომელიც შეიძლებოდა დარიცხულიყო პირველად ხსენებული სახელმწიფოს საწარმოზე, თუკი ამ ორ საწარმოს შორის იქმნებოდა იგივე ურთიერთობა, როგორც დამოუკიდებელ საწარმოებს შორის, მაშინ ეს მეორე სახელმწიფო მოახდენს მის მიერ ამ მოგებაზე დარიცხული გადასახადის შესაბამის კორექტირებას. ნებისმიერი მსგავსი კორექტირების შეტანის შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იქნას მოცემული შეთანხმების დებულებები. ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ხელისუფლება, საჭიროების შემთხვევაში გამართავს კონსულტაციებს.

მუხლი 10. დივიდენდები

1. დივიდენდები, რომლებსაც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანია გადაუხდის მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს რეზიდენტს, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ასეთი დივიდენდები შეიძლება აგრეთვე დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს დივიდენდების გადამხდელი კომპანია, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ მიმღები წარმოადგენს დივიდენდების ბენეფიციარულ მფლობელს, მაშინ ასეთი სახით გადახდებიდან გამომდინარე არ უნდა აღემატებოდეს:

ა) დივიდენდების საერთო თანხის 5%-ს, იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარული მფლობელი არის დივიდენდების გადამხდელი კომპანია, რომელიც ფლობს კომპანიის კაპიტალის სულ მცირე 25%-ს;

ბ) დივიდენდების საერთო თანხის 15%-ს ყველა სხვა შემთხვევაში.

ეს პუნქტი არ შეეხება კომპანიის დაბეგვრას იმ მოგებასთან მიმართებით, რომლიდანაც გაიცემა დივიდენდები.

3. ამ მუხლში გამოყენებისას, ტერმინი დივიდენდები ნიშნავს შემოსავალს აქციებიდან, „jouissance“ აქციებიდან ან „jouissance“ უფლებებიდან, სამთომომპოვებელი აქციებიდან, დამფუძნებელთა აქციებიდან ან სხვა უფლებებიდან, რომლებიც არ წარმოადგენენ სავალე მოთხოვნებს, მონაწილეობას მოგებაში, აგრეთვე შემოსავალს სხვა კორპორაციული უფლებებიდან, რომლებიც ექვემდებარებიან ისეთივე საგადასახადო რეგულირებას, როგორსაც აქციებზე შემოსავალი, იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს საგადასახადო კანონმდებლობით, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს მოგების გამანაწილებელი საწარმო.

4. 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება, თუ ამ დივიდენდების ბენეფიციარული მფლობელი, არის რა ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, ახორციელებს ბიზნესს ამ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტიც არის დივიდენდების გადამხდელი კომპანია იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ან ახორციელებს მეორე სახელმწიფოში დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული ფიქსირებული ბაზის მეშვეობით, და რომელთანაც დაკავშირებით გადახდილი დივიდენდები პირდაპირ უკავშირდება ასეთ მუდმივ დაწესებულებას ან ფიქსირებულ ბაზას. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას მე-7 და მე-14 მუხლების დებულებები.

5. კომპანია, რომელიც არის ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი და იღებს შემოსავლებს ან მოგებას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოდან, ამ მეორე სახელმწიფოს არ შეუძლია დააკისროს გადასახადი კომპანიის გადახდილ დივიდენდებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი დივიდენდები გადაიხდება იმ მეორე სახელმწიფოს რეზიდენტისათვის ან რომელთან დაკავშირებით გადახდილი დივიდენდები პირდაპირ დაკავშირებულია იმ მეორე სახელმწიფოში არსებულ მუდმივ დაწესებულებასთან ან მუდმივ ბაზასთან, იმ შემთხვევაშიც კი თუ გადახდილი დივიდენდები ან გაუნაწილებელი მოგებები მთლიანად ან ნაწილობრივ შედგება ამ მეორე სახელმწიფოში წარმოშობილი მოგებებიდან.

მუხლი 11. პროცენტი

1. ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი პროცენტი, დაექვემდებარება გადასახადს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. მსგავსი პროცენტი შეიძლება დაბეგრეს იქნას იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ის წარმოიქმნა, ამ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ მიმღები არის პროცენტის ბენეფიციარი, დაბეგვრა არ უნდა აღემატებოდეს პროცენტის მთლიანი რაოდენობის 10% -ს.

3. მე-2 პუნქტის დებულებათა მიუხედავად, პროცენტი გათავისუფლდება დაბეგვრისაგან იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ის წარმოიქმნა, თუ პროცენტი წარმოადგენს:

ა) კომერციული სავალე ვალდებულების პროცენტს მოკლევადიანი კომერციული თამასუქით წარმოდგენილი სავალე ვალდებულების ჩათვლით – რომელიც წარმოიქმნა საწარმოს მიერ მიწოდებული საქონლის, სამრეწველო პროდუქციისა და გაწეული მომსახურების გადავადებული გადახდის შედეგად;

ბ) სახელმწიფო გეგმის (რომელიც ითვალისწინებს ექსპორტის ხელის შეწყობას) ფარგლებში გამოყოფილი, გარანტირებული და უზრუნველყოფილი სესხის ან გაფართოებული, გარანტირებული და უზრუნველყოფილი კრედიტის პროცენტს;

გ) საბანკო საწარმოს მიერ გაცემული ნებისმიერი სახის სესხის პროცენტს;

დ) ერთ-ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოსათვის გადახდილ პროცენტს.

4. ტერმინი „პროცენტი“ მოცემულ მუხლში გამოყენებისას ნიშნავს შემოსავალს სავალე ვალდებულებებიდან, იპოთეკური უზრუნველყოფისა და მოგებაში მონაწილეობის უფლების არსებობის მიუხედავად, ასევე შემოსავალს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან, ობლიგაციებიდან და დებენტურიდან, მსგავსი ფასიანი ქაღალდების, ობლიგაციების და დენტურების პრემიული დანამატებისა და პრემიების ჩათვლით. მიუხედავად ამისა, ტერმინი „პროცენტი“. მოცემული მუხლის მიზნებისათვის, არ ითვალისწინებს არც ჯარიმას დაგვიანებული გადასახადისათვის და არც პროცენტს, მიჩნეულს დივიდენდად მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

5. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება, თუ პროცენტის ბენეფიციალური, რომელიც არის ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, ახორციელებს ბიზნესს ამ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც პროცენტი წარმოიშობა იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან ამ მეორე სახელმწიფოში ეწევა დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული მუდმივი ბაზის მეშვეობით და სავალე მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც გადაიხდება პროცენტი, ნამდვილად არის დაკავშირებული ასეთ მუდმივ დაწესებულებასთან ან ფიქსირებულ ბაზასთან. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას მე-7 და მე-14 მუხლების დებულებები.

6. იმ შემთხვევაში, როცა პროცენტის გადამხდელად გვევლინება ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო, მისი პოლიტიკური ქვედანაყოფი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან რეზიდენტი, ითვლება რომ პროცენტი წარმოიშვა აღნიშნულ სახელმწიფოში. იმ დროს, როცა პროცენტების გადამხდელი პირი, თავისი რეზიდენტობის მიუხედავად, ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ფლობს მუდმივ დაწესებულებას ან ფიქსირებულ ბაზას, რომლებსაც დაეკისრათ

დავალიანების პროცენტული გადახდა და ამასთან, აღნიშნული პროცენტების გამომუშავება ხდება ამ მუდმივი დაწესებულების ან ფიქსირებული ბაზის მიერ, მაშინ მსგავსი პროცენტების წარმოშობის ადგილად ჩაითვლება ის ადგილი, სადაც განლაგებულია მოცემული მუდმივი დაწესებულება ან ფიქსირებული ბაზა.

7. თუ პროცენტების გადამხდელსა და ბენეფიციარულ მფლობელს შორის ან მათსა და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობის გამო სავალე მოთხოვნაზე გადახდილი პროცენტის თანხა, რომლის საფუძველზეც იგი გადაიხდება, აჭარბებს თანხას, რაც შეთანხმებული იქნებოდა გადამხდელსა და ბენეფიციარულ მფლობელს შორის ასეთი ურთიერთობების არარსებობისას, მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული თანხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის ნამეტი ნაწილი კვლავ ექვემდებარება დაბეგვრას თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონების შესაბამისად, ამ კონვენციის სხვა დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 12.

როიალთი

1. ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი როიალთი გადასახადს დაექვემდებარება მხოლოდ ამ მეორე სახელმწიფოში, თუ რეზიდენტი წარმოადგენს როიალთის ბენეფიციალურ მფლობელს.

2. ასეთი როიალთი შეიძლება აგრეთვე დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ის წარმოქმნა ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ ბენეფიციალური მფლობელი წარმოადგენს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მაშინ ასეთი სახით დაკისრებული გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს:

ა) როიალთის საერთო თანხის 5%-ს, იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციალური მფლობელი არის ამ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო;

ბ) როიალთის საერთო თანხის 10%-ს ყველა სხვა შემთხვევაში.

3. ამ მუხლში გამოყენებისას ტერმინი „როიალთი“ ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახდელებს, რომლებიც მიიღება ანაზღაურების სახით ლიტერატურის, ხელოვნების ან მეცნიერების ნებისმიერი ნაწარმოების გამოყენების ან გამოყენებაზე საავტორო უფლების მინიჭებისათვის, კინემატოგრაფიული ფილმების და სატელევიზიო მაუწყებლობისათვის განკუთვნილი ფილმების, კასეტების, ნებისმიერი პატენტის, სავაჭრო ნიშნის, დიზაინის ან მოდელის, გეგმის, საიდუმლო ფორმულის ან პროცესის ჩათვლით, ან სამრეწველო, კომერციული ან სამეცნიერო მოწყობილობის გამოყენებისათვის, ან სამრეწველო, კომერციული, ან სამეცნიერო გამოცდილების შესახებ ინფორმაციისათვის.

4. 1-ლი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ როიალთის ბენეფიციალური მფლობელი, როგორც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი. ახორციელებს ბიზნესს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც წარმოიქმნება როიალთი, იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ან ეწევა ამ მეორე სახელმწიფოში დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული ფიქსირებული ბაზის მეშვეობით, და უფლება ან ქონება, რის მიმართაც გადაიხდება როიალთი, ნამდვილად არის დაკავშირებული ამ მუდმივ დაწესებულებასთან ან ფიქსირებულ ბაზასთან. ამ შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას მე-7 და მე-14 მუხლების დებულებები.

5. როიალთი მიჩნეულ იქნება წარმოქმნილად ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ გადამხდელი არის თვით ეს სახელმწიფო, პოლიტიკური ქვეგანაყოფი, ადგილობრივი ხელისუფლება ან ამ სახელმწიფოს რეზიდენტი. თუ როიალთის გადამხდელ პირს, მიუხედავად იმისა არის ის თუ არა ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, აქვს ხელშემკვრელ სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულება ან ფიქსირებული ბაზა, რომელზეც მას ევალება როიალთის გადახდა, და ასეთი როიალთი წარმოქმნილია მუდმივი დაწესებულების ან ფიქსირებული ბაზის მიერ, მაშინ ასეთი როიალთი მიიჩნევა წარმოქმნილად იმ სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს მუდმივი დაწესებულება ან ფიქსირებული ბაზა.

6. თუ გადამხდელსა და ბენეფიციალურ მფლობელს შორის ან მათ და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების გამო როიალთის თანხა, რომელიც დაკავშირებულია სარეგებლობასთან, უფლებასთან ან ინფორმაციასთან, რომელთა საფუძველზეც იგი გადაიხდება, აჭარბებს თანხას, რაც შეთანხმებული იქნება გადამხდელსა და ბენეფიციალურ მფლობელს შორის ასეთი ურთიერთობების არ არსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული თანხის მიმართ. ამ შემთხვევაში, გადასახადის ნამეტი ნაწილი კვლავაც ექვემდებარება დაბეგვრას ხელშემკვრელი სახელმწიფოების კანონების შესაბამისად, ამ კონვენციის სხვა დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 13.

კაპიტალის ზრდით მიღებული შემოსავალი

1. მე-6 მუხლით განსაზღვრული შემოსავლები უძრავი ქონების გასხვისებიდან შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ეს ქონება მდებარეობს.
2. შემოსავლები იმ მოძრავი ქონების გასხვისებიდან, რომელიც ქმნის ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში შექმნილი მუდმივი დაწესებულების კომერციული ქონების ნაწილს, ან შემოსავლები ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის ფიქსირებული ბაზის განკარგულებაში მყოფი მოძრავი ქონების გასხვისებიდან, რომელიც მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მდებარეობს დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გასაწევად, ასეთი მუდმივი დაწესებულების (ცალკე ან მთელ საწარმოსთან ერთობლივად) გასხვისებიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით, ან ასეთი ფიქსირებული ბაზის გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
3. შემოსავლები, საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლუატირებული საზღვაო და საჰაერო ხომალდების ან ხსენებული სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატირებასთან დაკავშირებული მოძრავი ქონების გასხვისებიდან, დაიბეგრება მხოლოდ იმ სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი.
4. შემოსავლები ნებისმიერი სხვა ქონების გასხვისებიდან, გარდა იმისა, რომელიც აღნიშნულია 1-ლ, მე-2 და მე-3 პუნქტებში, დაიბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს ქონების გამსხვისებელი პირი.

მუხლი 14.
დამოუკიდებელი პირადი მომსახურება

1. შემოსავალი, რომელსაც იღებს ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს რეზიდენტი პროფესიონალური მომსახურების ან სხვა დამოუკიდებელი ბასიათის საქმიანობის შედეგად იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში სანამ მას მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში არ ექნება ფიქსირებული ბაზა თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის. თუ მას გააჩნია ასეთი ფიქსირებული ბაზა, შემოსავალი შეიძლება დაბეგრილ იქნას მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ თანხის ის ნაწილი, რომელიც მიეკუთვნება ამ ფიქსირებულ ბაზას.

2. ტერმინი „პროფესიონალური მომსახურება“, კერძოდ, შეიცავს დამოუკიდებელ სამეცნიერო, ლიტერატურულ, სამსახიობო, საგანმანათლებლო და სასწავლო საქმიანობას, აგრეთვე ექიმების, ადვოკატების, ინჟინრების, არქიტექტორების, სტომატოლოგებისა და ბუღალტრების დამოუკიდებელ საქმიანობას.

მუხლი 15.
დამოკიდებული პირადი მომსახურება

1. მე-16, მე-18 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით, ერთი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ შრომის შედეგად მიღებული გასამრჯელო, ხელფასი და სხვა მსგავსი ანაზღაურებანი, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი მუშაობა ხორციელდება მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში. ამასთან, თუ მუშაობა ხორციელდება მეორე სახელმწიფოში ასეთი ანაზღაურებანი შეიძლება დაიბეგროს მეორე სახელმწიფოში.
2. 1-ლი პუნქტის დებულებათა მიუხედავად, ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მეორე ხელშემკვერელი სახელმწიფოში განხორციელებული მუშაობიდან მიღებული გასამრდელი, იბეგრება გადასახადით მხოლოდ პირველად ხსენებულ სახელმწიფოში, თუ:
 - ა) მიმღები იმყოფება მეორე სახელმწიფოში 183 დღეზე ნაკლებ ხანს, ნებისმიერი თორმეტთვიანი პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ან მთავრდება მოცემულ ფისკალურ წელს, და
 - ბ) გასამრჯელო გაიცემა დამქირავებლის მიერ ან დამქირავებლის სახელით, რომელიც არ წარმოადგენს მეორე სახელმწიფოს რეზიდენტს; და
 - გ) გასამრდელი არ წარმოიქმნება მუდმივი დაწესებულების ან ფიქსირებული ბაზის მიერ, რომელიც დამქირავებელს გააჩნია მეორე სახელმწიფოში.
3. ამ მუხლის წინა დებულების მიუხედავად, გასამრჯელო, რომელიც დაკავშირებულია ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს საწარმოს მიერ საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლუატირებული საზღვაო ან საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებზე განხორციელებულ მუშაობასთან, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით იმ ხელშემკვერელ სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს საწარმოს ფაქტიური მართვის ადგილი.

მუხლი 16.

კომპანიის მენეჯერები

1. მენეჯერთა ჰონორარები და სხვა მსგავსი გადასახადები, რომლებსაც მიიღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის ან დირექტორთა საბჭოს წევრი, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ მეორე სახელმწიფოში.

წინამდებარე დებულებები აგრეთვე გამოიყენება იმ ფუნქციის შესრულების შედეგად მიღებული ანაზღაურების მიმართ, რომლებიც, იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონების შესაბამისად, რომელშიც კომპანია წარმოადგენს რეზიდენტს, მიიჩნევა იგივე ხასიათის ფუნქციებად, როგორც ზემოაღნიშნული დებულებით გათვალისწინებულია იმ პირთათვის, რომლებიც ასრულებენ ამ ფუნქციებს.

2. 1-ლ პუნქტში აღნიშნული პირების მიერ ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტ-კომპანიიდან მმართველობითი და ტექნიკური ბასიათის ყოველდღიური ფუნქციების შესრულების შედეგად მიღებული ანაზღაურება, და ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მისი, როგორც კომპანიის პარტნიორის (გარდა იმ სააქციო კაპიტალის კომპანიისა, რომელიც წარმოადგენს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს) პირადი მოღვაწეობის შედეგად მიღებული ანაზღაურება, შეიძლება დაიბეგროს მე-15 მუხლის დებულებების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი ანაზღაურება მიიჩნევა მუშაკის მიერ მუშაობის შედეგად მიღებულ ანაზღაურებად, ხოლო „დამქირავებლად“ მიიჩნევა კომპანია.

მუხლი 17.
ხელოვნების მუშაკები და სპორტსმენები

1. მე-14 და მე-15 მუხლების დებულებათა მიუხედავად, შემოსავალი, რომელსაც მიიღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც ხელოვნების მუშაკი, როგორც არის თეატრის, კინოს, რადიოს ან ტელევიზიის მსახიობი, მუსიკოსი ან როგორც სპორტსმენი, მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მის მიერ განხორციელებული საქმიანობიდან შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი პირადი საქმიანობიდან, რომელსაც განახორციელებს ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი, დაერიცხება არა თვით ხელოვნების მუშაკს ან სპორტსმენს თავად, არამედ სხვა პირს, მაშინ ეს შემოსავალი მიუხედავად ამ ხელშეკრულების მე-7, მე-14 და მე-15 მუხლების დებულებისა, დაიბეგრება იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება ხელოვნების მუშაკის და სპორტსმენის საქმიანობა.

მუხლი 18. პენსიები

1. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, პენსიები და სხვა მსგავსი ანაზღაურებანი, რომლებიც ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს გადაეხდება წარსულში განხორციელებულ შრომასთან დაკავშირებით, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.
2. ხელშემკვრელი სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობის შესაბამისად გადახდილი პენსიები და სხვადასხვა სახის ანაზღაურება, პერიოდული თუ არა-პერიოდული, შეიძლება დაიბეგროს ამ სახელმწიფოში. აღნიშნული დებულება აგრეთვე გამოიყენება ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საზოგადო გეგმის შესაბამისად ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული დახმარების გაწევის მიზნით.

მუხლი 19.
სახელმწიფო სამსახური

1. ა) ხელშემკვრელი სახელმწიფოს, პოლიტიკური ან ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიერ ფიზიკური პირისათვის გადახდილი პენსიისაგან განსხვავებული ანაზღაურებანი, ამ სახელმწიფოსათვის, ქვედანაყოფისათვის ან ხელისუფლებისათვის გაწეული სამსახურისათვის, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

ბ) ამასთან, ამგვარი ანაზღაურებანი იბეგრება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ სამსახური ხორციელდება ამ სახელმწიფოში და ფიზიკური პირი წარმოადგენს ამ სახელმწიფოს რეზიდენტს, რომელიც:

(I) არის ამ სახელმწიფოს მოქალაქე, ან

(II) არ გახდა ამ სახელმწიფოს რეზიდენტი მხოლოდ აღნიშნული სამსახურის გაწევის მიზნით.

2. ა) ხელშემკვრელი სახელმწიფოს, პოლიტიკური ან ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიერ, ან შექმნილი ფონდებიდან ნებისმიერი ფიზიკური პირისათვის ამ სახელმწიფოსათვის, ქვედანაყოფისათვის ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოსათვის გაწეული სამსახურისათვის გადახდილი პენსია, შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

ბ) მაგრამ, ამგვარი პენსია დაიბეგრება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ ფიზიკური პირი წარმოადგენს ამ სახელმწიფოს მოქალაქეს ან რეზიდენტს.

3. მე-15, მე-16, მე-17 და მე-18 მუხლების დებულებები გამოიყენება ხელფასებისა და სხვა მსგავსი ანაზღაურების ან პენსიათა მიმართ, ერთერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს, პოლიტიკური ქვედანაყოფის ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მიერ ბიზნესის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მუხლი 20.
სტუდენტები

სტუდენტის ან ბიზნესის სფეროში სტაჟიორის მიერ მიღებული ანაზღაურებანი, რომელიც ერთ ხელშემკვერელ სახელმწიფოში უშუალოდ ჩამოსვლამდე იყო ან არის მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოს რეზიდენტი და აღნიშნულ პირველ სახელმწიფოში იმყოფება მხოლოდ და მხოლოდ სასწავლებლად ან სტაჟირების მიზნით, ბოლო ეს ანაზღაურებანი განკუთვნილია საცხოვრებლად, სასწავლებლად და სტაჟირებისათვის, არ დაიბეგრება ამ სახელმწიფოში, იმ პირობით, რომ ამ ანაზღაურების წყაროები მდებარეობს ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ.

მუხლი 21.
პროფესორები და მასწავლებლები

1. პროფესორი ან მასწავლებელი, რომელიც ოფიციალურად აღიარებულ უნივერსიტეტში ან სხვა სასწავლო დაწესებულებაში სწავლების ან კვლევის ჩატარების მიზნით ხელშემკვრელ სახელმწიფოში დროებითი ყოფნის დროს იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც არ აღემატება ორ წელიწადს, და რომელიც წარმოადგენს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს რეზიდენტს განთავისუფლდება გადასახადის ამ ხელშემკვრელ სახელმწიფოში.
2. მოცემული მუხლი არ გამოიყენება კვლევითი სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლის მიმართ, თუ ასეთი სამუშაოები ტარდება არა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ კერძო პირის ან პირების პირადი გამორჩენისათვის.

მუხლი 22.
სხვა შემოსავალი

1. ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს რეზიდენტის შემოსავლის ნაწილები, მიუხედავად მისი წარმოქმნის ადგილისა, რომლებიც არ არიან მოხსენებული ამ კონვენციის წინა მუხლებში დაიბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში. ხელშემკვერელი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილები დაიბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვერელ სახელმწიფოში, სადაც მიმღები რეზიდენტს წარმოადგენს.

2. 1-ლი პუნქტის დებულებების მიუხედავად, ხელშემკვერელი სახელმწიფოს რეზიდენტის შემოსავლის ნაწილები, რომელსაც არ შეეხება მოცემული შეთანხმების წინამდებარე მუხლები და რომლებიც მიღებულია მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში შეიძლება დაიბეგროს პირველ სახელმწიფოში, თუ შემოსავლის აღნიშნული ნაწილები არ არის დაბეგრილი მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში.

თავი IV
ქონების დაბეგვრა

მუხლი 23.
კაპიტალი

1. მე-6 მუხლში მოხსენებული უძრავი ქონებით წარმოდგენილი კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის საკუთრებას და განლაგებულია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
2. კაპიტალი, წარმოდგენილი მოძრავი ქონებით, რომელიც წარმოადგენს იმ მუდმივი დაწესებულების კომერციული ქონების ნაწილს, რომელიც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს გააჩნია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, ან წარმოდგენილი იმ ფიქსირებულ ბაზასთან დაკავშირებული მოძრავი ქონებით, რომელიც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს გააჩნია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გაწევის მიზნით, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.
3. კაპიტალი, რომელიც წარმოდგენილია ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ საერთაშორისო გადაზიდვებში საზღვაო და საეაერო ხომალდებით და ამგვარი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მოძრავი ქონებით, დაიბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში. რომელშიც მდებარეობს საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი.
4. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის კაპიტალის ყველა სხვა ელემენტი შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ამ სახელმწიფოში

თავი V
ორმაგი დაბეგვრის აცილების მეთოდები

მუხლი 24.
ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა

1. საქართველოს შემთხვევაში ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა განხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ საქართველოს რეზიდენტი იღებს შემოსავალს ან ფლობს კაპიტალს, რომლებიც მოცემული შეთანხმების დებულებების შესაბამისად, შეიძლება დაიბეგროს ბელგიაში, საქართველო, ბ) და გ) პუნქტების დებულებების გათვალისწინებით, გაათავისუფლებს მსგავს შემოსავალს და კაპიტალს დაბეგვრისაგან;

ბ) თუ საქართველოს რეზიდენტი იღებს შემოსავლის ნაწილებს, რომლებიც მე-10, მე-11 და მე-12 მუხლების დებულებათა შესაბამისად, შეიძლება დაიბეგროს ბელგიაში, საქართველო დაუშვებს რეზიდენტის შემოსავალზე გადასახადიდან იმ თანხის გამოქვითვისას, რომელიც ბელგიაში გადახდილი გადასახადის ტოლია. გამოქვითული თანხა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოში გადახდილი გადასახადის იმ ნაწილს, რომელიც დაანგარიშებულ იქნა გამოქვითვის წარდგენამდე და ვრცელდება ამ მეორე სახელმწიფოში მიღებული შემოსავლის ნაწილებზე;

გ) თუ, მოცემული შეთანხმების ნებისმიერი დებულების შესაბამისად, საქართველოს რეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავალი ან კაპიტალი ამ სახელმწიფოში გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან, საქართველო, ამ რეზიდენტის დარჩენილ შემოსავალსა და კაპიტალზე დაწესებული გადასახადის თანხის დაანგარიშებისას, გაითვალისწინებს დაბეგვრისაგან გათავისუფლებულ შემოსავალსა და კაპიტალს.

2. ბელგიის შემთხვევაში ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა განხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ბელგიის რეზიდენტი იღებს შემოსავალს ან ფლობს კაპიტალის ნაწილს, რომელიც საქართველოში, მოცემული შეთანხმების დებულებების შესაბამისად, გარდა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-11 მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტების და მე-12 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტების დებულებებისა, ექვემდებარება გადასახადს, ბელგიას შეუძლია გაათავისუფლოს მსგავსი შემოსავალი ან კაპიტალის ნაწილები გადასახადისაგან, მაგრამ ამავე დროს შეუძლია, ამ რეზიდენტის დარჩენილ შემოსავალსა და კაპიტალზე დაწესებული გადასახადის თანხის დაანგარიშებისას, გამოიყენოს გადასახადის განაკვეთი, რომელიც მიიჩნევა მიღებულად, თუ მსგავსი შემოსავალი და კაპიტალის ნაწილები არ არის გათავისუფლებული გადასახადისაგან;

ბ) ბელგიის იმ კანონის დებულებების გათვალისწინებით, რომელიც ეხება საზღვარგარეთ გადახდილი გადასახადების გამოქვითვას ბელგიაში გადახდილ გადასახადიდან, სადაც ბელგიის რეზიდენტი იღებს თავისი მთლიანი შემოსავლის ნაწილებს ბელგიაში დივიდენდებად მიჩნეული გადასახადის გადახდის მიზნით და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ პროცენტი და როიალთი, გ) ქვეპუნქტის თანახმად, არ თავისუფლდება ბელგიაში დაწესებული გადასახადისაგან, საქართველოში ამ შემოსავალზე დაწესებული გადასახადი დაშვებულ იქნება კრედიტის სახით ბელგიაში მსგავს შემოსავალზე დაწესებულ გადასახადთან მიმართებაში;

გ) ბელგიის რეზიდენტი კომპანიის მიერ საქართველოს რეზიდენტი კომპანიიდან მიღებული დივიდენდი ბელგიაში გათავისუფლებული უნდა იქნას კორპორაციული საშემოსავლო გადასახადისაგან ბელგიის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა და ლიმიტების ფარგლებში;

დ) იმ შემთხვევაში, როცა ბელგიის კანონმდებლობის შესაბამისად, ბელგიაში გადასახადის დაბეგვრისას, ბელგიის რეზიდენტის მიერ საქართველოში განლაგებული მუდმივი დაწესებულების მოგებიდან, რიცხული დანაკარგები პირდაპირ გამოიქვითება ამ საწარმოს მოგებიდან, მაშინ ა)-ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი არ გამოიყენება ბელგიაში სხვა საგადასახადო პერიოდის განმავლობაში ამ დაწესებულების კუთვნილი მოგების მიმართ, იმ მიზეზით, რომ აღნიშნული მოგება გაწეულია დანაკარგების ანაზღაურების თვალსაზრისით და საქართველოში გათავისუფლებულია გადასახადის დაბეგვრისაგან.

თავი VI
სპეციალური დებულებები

მუხლი 25.
არადისკრიმინაცია

1. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეები არ დაექვემდებარებიან მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში დაბეგვრას ან მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ვალდებულებას, განსხვავებულს ან უფრო მძიმეს, ვიდრე დაბეგვრა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელთაც ამ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეები ექვემდებარებიან ან შეიძლება იყვნენ დაქვემდებარებული იმავე გარემოებებში. ეს დებულებები 1-ლი მუხლის დებულებების მიუხედავად გამოიყენება აგრეთვე ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ არიან ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტები.

2. მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც არიან ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტები, არცერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ ექვემდებარებიან დაბეგვრას ან მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ვალდებულებას, განსხვავებულს ან უფრო მძიმეს, ვიდრე დაბეგვრა ან მასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელთაც ამ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეები ექვემდებარებიან ან შეიძლება იყვნენ დაქვემდებარებული იმავე გარემოებებში.

3. იმ მუდმივი დაწესებულების დაბეგვრა, რომელიც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს გააჩნია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, არ უნდა იყოს ნაკლებად ხელსაყრელი ამ მეორე სახელმწიფოში, ვიდრე ამ მეორე სახელმწიფოს საწარმოთა დაბეგვრა, რომლებიც ამგვარ საქმიანობას ახორციელებენ. ეს დებულება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქმის ავალდებულებდეს, ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოს მიანიჭოს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტებს რაიმე პირადი შეღავათები, გამოქვითვები და დაკლებები დაბეგვრაში, მათი სამოქალაქო სტატუსის ან ოჯახურ გარემოებათა საფუძველზე, რომლებსაც იგი ანიჭებს საკუთარ რეზიდენტებს.

4. იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც გამოიყენება მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის ან მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებები, პროცენტი, როიალთი, ტექნიკური მომსახურეობის ანაზღაურება ან სხვა გადახდები, გადახდილი ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მიერ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის. ამ საწარმოს დასაბეგრი მოგების განსაზღვრის მიზნით, დაექვემდებარება გამოქვითვას იმავე პირობებით, როგორითაც ისინი შეიძლება გადახდილ ყოფილიყო პირველად ბსენებული სახელმწიფოს რეზიდენტისათვის. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს დაწესებულების ნებისმიერი ვალი, რომელიც მან უნდა გადაუბადოს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, ამ საწარმოს დასაბეგრი კაპიტალის განსაზღვრის მიზნით, დაექვემდებარება გამოქვითვას იმავე პირობებით, როგორითაც ისინი შეიძლება შეკვეცილიყო პირველად ბსენებული სახელმწიფოს რეზიდენტისათვის.

5. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს დაწესებულებები, რომლის კაპიტალსაც მთლიანად ან ნაწილობრივ ფლობს ან აკონტროლებს, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ერთი ან მეტი რეზიდენტი, არ ექვემდებარებიან დაბეგვრას ან მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ვალდებულებას, განსხვავებულს ან უფრო მძიმეს, ვიდრე დაბეგვრა ან მასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელთაც პირველად ბსენებული სახელმწიფოს სხვა მსგავსი დაწესებულებები ექვემდებარებიან ან შეიძლება იყვნენ დაქვემდებარებული

6. ამ მუხლის დებულებები, მე-2 მუხლის დებულებების მიუხედავად, გამოიყენება ნებისმიერი სახისა და აღწერილობის გადასახადის მიმართ.

მუხლი 26.
ურთიერთშეთანხმებული პროცედურა

1. [ჩანაცვლდა მრავალმხრივი კონვენციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით] [თუ პირი თვლის, რომ ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქმედება იწვევს ან გამოიწვევს მის დაბეგვრას ამ კონვენციის დებულებების შეუსაბამოდ, მას შეუძლია, ამ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის საშუალებათა მიუხედავად, წარმოადგინოს თავისი საქმე განსახილველად იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებში, რომლის რეზიდენტსაც იგი წარმოადგენს ან, თუ მისი შემთხვევა ექვემდებარება 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედებას, იმ სახელმწიფოში რომლის ნაციონალურ პირსაც იგი წარმოადგენს.]

მრავალმხრივი კონვენციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მოცემული პირველი წინადადება ჩანაცვლავს შეთანხმების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებას:

**მრავალმხრივი კონვენციის მუხლი 16 –
ურთიერთშეთანხმების პროცედურა**

როდესაც პირი მიიჩნევს, რომ ერთი ან ორივე [ხელშემკვრელი სახელმწიფოს] მოქმედება იწვევს ან გამოიწვევს მის დაბეგვრას [ამ შეთანხმების] დებულებების შეუსაბამოდ, ამ პირს, ამ [ხელშემკვრელი სახელმწიფოების] შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მიუხედავად შეუძლია თავისი საქმე განსახილველად წარუდგინოს ერთ-ერთი [ხელშემკვრელი სახელმწიფოს] კომპეტენტურ ორგანოს.

განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნეს სამი წლის განმავლობაში პირველი შეტყობინებიდან იმ მოქმედებათა შესახებ, რომელიც იწვევს დაბეგვრას მოცემული შეთანხმების დებულებათა შეუსაბამოდ.

2. კომპეტენტური ორგანო შეეცდება, თუ იგი განცხადებას დასაბუთებულად ჩათვლის, და თუ მას თვითონ არ შეუძლია მივიდეს დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტილებამდე, მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოსთან ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტოს საკითხი მოცემულ შეთანხმებასთან შეუსაბამო დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით. ნებისმიერი მიღწეული შეთანხმება გამოიყენება რაიმე დროებითი შეზღუდვების მიუხედავად, რომლებიც არსებობენ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში.

3. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები შეეცდებიან ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ ნებისმიერი სიძნელე ან გაუგებრობა, რომლებიც წარმოიშობა მოცემული შეთანხმების განმარტების ან გამოყენებისას.

მრავალმხრივი კონვენციის მე-16 მუხლის მესამე პუნქტის მოცემული მეორე წინადადება მოქმედებს ამ შეთანხმების დებულებებზე:

**მრავალმხრივი კონვენციის მუხლი 16 –
ურთიერთშეთანხმების პროცედურა**

მათ ასევე შეუძლიათ ერთად გაიარონ კონსულტაცია ორმაგი დაბეგვრის აღმოფხვრის შესახებ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში.

4. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები შეთანხმდებიან აუცილებელი ადმინისტრაციული ზომების მიღების თაობაზე, რათა შესრულებულ იქნას ამ შეთანხმების დებულებები, აგრეთვე, დამადასტურებელი საბუთების თაობაზე, რომლებიც მიწოდებულ იქნება ერთერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტების მიერ, რათა მეორე სახელმწიფოში მოცემული შეთანხმებით გათვალისწინებული გადასახადის შემცირებისა და გამორიცხვის შედეგად მოხდეს მოგების მიღება.

5. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ შევიდნენ ერთმანეთთან პირდაპირ კონტაქტში წინა პუნქტების გათვალისწინებით შეთანხმების მიღწევის მიზნით. თუ აზრთა სიტყვიერი გაცვლა, შეთანხმების მიღწევის მიზნით, მიიჩნევა მიზანშეწონილად, მსგავსი გაცვლა შეიძლება ჩატარდეს ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებისათვის შემდგარი კომისიის მეშვეობით.

მუხლი 27. ინფორმაციის გაცვლა

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები გაცვლიან იმ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ამ შეთანხმების დებულებათა ან ხელშემკვრელი სახელმწიფოების კანონმდებლობის შესრულებისათვის იმ გადასახადებზე, რომლებზედაც მოცემული შეთანხმება ვრცელდება მანამდე, ვიდრე დაბეგვრა არ ეწინააღმდეგება შეთანხმებას, კომპეტენტური ორგანოები აგრეთვე მიიღებენ ზომებს გადასახადისაგან თავიდან აცილების წინააღმდეგ. ინფორმაციის გაცვლა არ იზღუდება 1-ლი მუხლით. ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება საიდუმლოდ ისევე, როგორც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის ჩარჩოებში მიღებული ინფორმაცია და ეცნობება მხოლოდ იმ პირებს ან ორგანოებს (სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ჩათვლით), რომლებიც დაკავებულნი არიან იმ გადასახადების შეფასებით ან აკრეფით, იძულებითი წესით ამოღებით ან სასამართლო დევნით, ან იმ აღნიშნულ გადასახადებთან დაკავშირებული აპელაციების განხილვით, რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება. ეს პირობები ან ორგანოები ამ ინფორმაციებს გამოიყენებენ მხოლოდ ამგვარი მიზნებისათვის. მათ შეუძლიათ ამ ინფორმაციის გახსნა სასამართლოს ღია სხდომის მსვლელობის ან სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებისას.

2. არცერთ შემთხვევაში 1-ლი პუნქტის დებულებები არ იქნება განმარტებული, როგორც სავალდებულო რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის:

ა) გაატარონ ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამა თუ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოს კანონმდებლობას ან ადმინისტრაციულ პრაქტიკას;

ბ) მიაწოდონ ინფორმაცია, რომელიც არ შეიძლება მიღებული იქნეს ამა თუ იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით ან ჩვეულებრივი ადმინისტრაციული პრაქტიკის მსვლელობისას;

გ) გასცენ ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გახსნას რაიმე სავაარო, სამეწარმეო, სამრეწველო, კომერციული ან პროფესიონალური საიდუმლოება, ან სავაარო პროცესი, ან ინფორმაცია, რომლის გახსნაც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ პოლიტიკას (საზოგადოებრივ წესრიგს).

მუხლი 28.
დახმარება გადასახადის ამოღებისას

1. ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ერთმანეთს უნდა გაუწიონ თანადგომა და დახმარება იმ თვალსაზრისით, რომ აუწყონ და ამოიღონ მე-2 მუხლში მითითებული გადასახადები, ისევე, როგორც დამატებითი გადასახადები, სხვა სახის დამატებები, პროცენტი, დანახარჯები და არაჯარიმული ხასიათის პენიები.
2. ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო თავისი საგადასახადო შეტყობინებისა და ანაზღაურებისას გამოყენებადი სამართლებრივი დებულებებისა და ნორმატივების შესაბამისად, უზრუნველყოფს პირველად ხსენებულ სახელმწიფოში შესატან პირველ პუნქტში მითითებულ საგადასახადო მოთხოვნებს შეტყობინებასა და ამოღებას.
3. მე-2 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს თან უნდა ახლდეს იმ დოკუმენტის ოფიციალური ასლი, რომლითაც ხდება აღსრულების უზრუნველყოფა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი საბოლოო სახის ადმინისტრაციული ან იურიდიული გადაწყვეტილების ოფიციალური ასლი.
4. აპელაციისათვის მიმართულ საგადასახადო მოთხოვნებთან დაკავშირებით ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა მათი უფლებების უსაფრთხოების მიზნით შესაძლოა მოსთხოვონ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს მათი კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვითი ზომების გამოყენება; ზემოაღნიშნული ზომების თვალსაზრისით პირველი და მე-3 პუნქტების დებულებები გამოყენებული უნდა იქნას მუტატის მუტანდის.
5. 27-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულება, ამ მუხლის ძალით, ასევე გამოყენებული უნდა იქნას ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსათვის მიწოდებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიმართ.

მუხლი 29.

დიპლომატიური წარმომადგენლები და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლები

1. არაფერი ამ შეთანხმებაში არ შეეხება დიპლომატიური წარმომადგენლების და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომელთა საგადასახადო პრივილეგიებს, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ნორმებით ან სპეციალური შეთანხმებების დებულებებით.
2. მოცემული შეთანხმების მიზნებისათვის, პირები, რომლებიც არიან მეორე ხელშემკვრელ ან მესამე სახელმწიფოში ერთერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს დიპლომატიური მისიისა ან საკონსულო დაწესებულების წევრები და არიან წარმდგენი სახელმწიფოს მოქალაქეები, მიიჩნევიან წარმდგენი სახელმწიფოს რეზიდენტებად, იმ შემთხვევაში თუ ექვემდებარებიან იგივე ვალდებულებებს შემოსავლებსა და კაპიტალზე დაბეგვრასთან დაკავშირებით, რაც დაწესებულია ამ სახელმწიფოს რეზიდენტებისათვის.
3. მოცემული შეთანხმება არ შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, დაწესებულებას ან თანამდებობის პირებს, აგრეთვე პირებს, რომლებიც არიან მესამე სახელმწიფოს დიპლომატიური მისიისა ან საკონსულო დაწესებულების წევრები და იმყოფებიან ერთ-ერთი ხელშემკვრელ სახელმწიფოში, და შემოსავლებსა და კაპიტალზე დაბეგვრის თვალსაზრისით არცერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ მიიჩნევიან რეზიდენტებად.

მრავალმხრივი კონვენციის მე-7 მუხლის მოცემული პირველი პუნქტი მოქმედებს და ანაცვლებს შეთანხმების დებულებებს:

მუხლი 7 - საგადასახადო ხელშეკრულების ბოროტად გამოყენების აღკვეთა

(დებულება ძირითადი მიზნების ტესტის თაობაზე)

[შეთანხმების] ნებისმიერი დებულების მიუხედავად, მის ფარგლებში გათვალისწინებული შეღავათი არ გავრცელდება შემოსავლის ან კაპიტალის ელემენტზე, თუ ყველა შესაბამისი ფაქტისა და გარემოების გათვალისწინებით, დასაბუთებულად დგინდება, რომ ნებისმიერი სქემის ან ტრანზაქციის, რომლის შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღება ეს შეღავათი, ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ამ შეღავათით სარგებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დასტურდება, რომ ამგვარ გარემოებებში აღნიშნული შეღავათის მინიჭება შეესაბამება [შეთანხმების] შესაბამისი დებულებების არსსა და მიზანს.

თავი VII
დასკვნითი დებულებები

მუხლი 30.
ძალაში შესვლა

1. თითოეული ხელშემკვერელი სახელმწიფო აუწყებს ერთმანეთს შეთანხმების ძალაში შესვლისათვის თავისი კანონმდებლობით მოთხოვნილი პროცედურების დასრულების შესახებ. შეთანხმება ძალაში შევა ზემოაღნიშნულის თაობაზე უკანასკნელი შეტყობინების დღიდან (15) თხუთმეტი დღის შემდეგ.
2. მოცემულ შეთანხმების დებულებები იმოქმედებენ:
 - ა) შეთანხმების ძალაში შესვლიდან მომდევნო წლის პირველ იანვარს ან პირველი იანვრის შემდეგ წყაროსთან დასაბეგრ გაცემულ ან გასაცემ შემოსავალზე დადგენილი გადასახადების მიმართ;
 - ბ) შეთანხმების ძალაში შესვლიდან მომდევნო წლის 31 დეკემბერს ან 31 დეკემბრის შემდეგ დასრულებადი საგადასახადო პერიოდების განმავლობაში მიღებულ შემოსავალზე დადგენილი სხვა სახის გადასახადების მიმართ;
 - გ) შეთანხმების ძალაში შესვლიდან ნებისმიერი მომდევნო წლის პირველ იანვარს არსებულ ქონებრივ ელემენტებზე დადგენილი ქონებრივი გადასახადების მიმართ.
3. საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგია-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის 1993 წლის 23 ივნისს ბრიუსელში „ინვესტიციების ორმხრივი ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების მე-11 მუხლის დებულებები არ გამოიყენება იმ შემოსავალსა და ქონებაზე დადგენილი გადასახადების მიმართ, რომლებზედაც მოქმედებს მოცემული შეთანხმება.

მუხლი 31.
მოქმედების შეწყვეტა

1. მოცემული შეთანხმება ძალაში დარჩება ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფოს მიერ მისი მოქმედების შეწყვეტამდე; ამასთან, თითოეულ ხელშემკვერელ სახელმწიფოს შეუძლია შეთანხმების ძალაში შესვლიდან მომდევნო (5) ხუთი წლის შემდეგ ნებისმიერი კალენდარული წლის 30 ივნისისათვის დიპლომატიური არბების გამოყენებით მოქმედების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გზით შეწყვიტოს შეთანხმების ძალაში ყოფნის ვადა. კალენდარული წლის პირველ ივლისამდე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, შეთანხმების დებულებები საბოლოოდ გამოყენებული იქნება:

- ა) წყაროსთან დასაბეგრ შემოსავალზე დადგენილი გადასახადების მიმართ, რომლებიც გაცემულია ან გაიცემა იმ წლის 31 დეკემბერს, რომელ წელსაც გაიგზავნა შეტყობინება შეთანხმების ძალაში ყოფნის შეწყვეტის თაობაზე;
- ბ) იმ საგადასახადო პერიოდების განმავლობაში, რომელიც მთავრდება იმ წლის 31 დეკემბერს, რომელ წელსაც გაცემული იქნა შეთანხმების ძალაში ყოფნის შეწყვეტის თაობაზე შეტყობინება, მიღებულ შემოსავალზე დადგენილი სხვა სახის გადასახადების მიმართ;
- გ) იმ წლის პირველ იანვარს არსებულ ქონებრივ ელემენტებზე დადგენილი ქონებრივი გადასახადების მიმართ, რომელ წელსაც გაცემული იქნა შეთანხმების ძალაში ყოფნის შეწყვეტის შესახებ შეტყობინება.

რის დასტურადაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას, შესაბამისი სამთავრობო ორგანოების მიერ უფლებამოსილმა ქვემოთ მითითებულმა პირებმა.

შედგენილია [] 2000 წლის [] ინგლისურ ენაზე.

საქართველოს სახელით
(ხელმოწერილია)

ბელგიის სამეფოს სახელით
(ხელმოწერილია)